ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

2019 წლის 16 ოქტომბრის სხდომის

ოქმი

სხდომას ესწრებოდნენ:საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ვარლამ ჭიპაშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მდივანი-ლენა აბაშიძე,საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები-ოთარ ლურსმანაშვილი,აკაკი ლურსმანაშვილი,დავით კიკნაძე,იუზა კელენჯერიძე,მარინე ხვედელიძე,გივი თხელიძე,გივი თავზარაშვილი,პავლე კიკალიშვილი,მალხაზ ფხალაძე და ნონა ზურაბიანი.მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ვლადიმერ გელაშვილი,მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი-ჯაბა ბერაძე,ააიპი „ხარაგაულის სათნოების სახლი"-ს დირექტორი გიორგი ჩიჩილიძე,მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე.

დღის წესრიგი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა.(მომხსენებლები,მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ვლადიმერ გელაშვილი და მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახურის უფროსი -ჯაბა ბერაძე)

კომისიის წევრებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო ცვლილებების პროექტი.

ვლდიმერ გელაშვილმა დეპუტატებს პირველ რიგში გააცნო მთავრობის მიერ გამოცემული შესაბამისი განკარგულებები,რის საფუძველზეც მერიამ წარმოადგინა ცვლილების პროექტი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებელ ხარჯებში.კერძოდ,

საქართველოს მთავრობის **2019** წლის **4** ოქტომბრის **N 2124** განკარგულებებით ცვლილება

შევიდა **2019** წლის **15** მარტის **N 557** განკარგულებაში, რითაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტს

გამოყოფილი თანხა შეუმცირდა 13 332 ლარით (მ.შ. გზების რეაბილიტაციის ხარჯები შემცირდა

7693 ლარით და ხიდების რეაბილიტაციის 5639 ლარით) და საბოლოოდ განისაზღვრა 285 172

ლარი.

საქართველოს მთავრობის **2019** წლის **21** აგვისტოს **N 1868** და **4** ოქტომბრის **N 2125**

განკარგულებებით ცვლილება შევიდა 2018 წლის 31 დეკემბრის N 2577 განკარგულებაში, რითაც

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოყოფილი თანხა შეუმცირდა 4958 ლარით (მ. შ. გზების

რეაბილიტაციის შემცირდა 5958 ლარით) და საბოლოოდ განისაზღვრა 4 663 679 ლარი.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ ჰქონიათ და შესაბამისად ერთხმად დაუჭირეს მხარი ბიუჯეტში ცვლილების წინადადებას ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებელი ხარჯების ნაწილში.კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 10 წევრი.მომხრე - 10 ხმა,წინააღმდეგი-0 ხმა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **ვლადიმერ გელაშვილმა** კომისიის სხდომაზე განაცხადა,რომ მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში შემოსული მომართვების თანახმად მერიამ წამოადგინა ცვლილების პროექტი,რომლის მიხედვითაც იგეგმება მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯებში ვალდებულებების დასაფარავად დამატებით 35 000 ლარის განსაზღვრა.

კომისიის წევრმა **აკაკი ლურსმანაშვილმა** იკითხა რის ხარჯზე მოხდება სოციალური ხარჯების დამატებითი დაფინანსება.

ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით,სოციალური ხარჯების დამატებითი დაფინანსება მოხდება კვლავ სოციალური ხარჯების გამოთავისუფლების შედეგად.

კომისიის წევრმა **ლენა აბაშიძემ** იკითხა რა თანხების გამოთავისუფლება გახდა შესაძლებელი სოციალური ხარჯებიდან.

სხდომაზე მყოფმა **მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის** უფროსმა **ნანა კიკნაძემ** განაცხადა,რომ ცვლილების ინიციატივა ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურიდან მოდის,რადგან თანხების გამოთავისუფლება იგეგმება ისეთი ქვეპროგრამებიდან,რომელი მიმართულებითაც წელს ხარჯის გაწევის აუცილებლობა არ დგას და გამოთავისუფლებული თანხების ხარჯზე კვლავ სოც.პროექტები განხორციელდება,რაც მნიშვნელოვანია.**ნანა კიკნაძის** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით იგეგმება სოციალური ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილი ხარჯის შემცირება და გამოთავისუფლებული ხარჯებით იგეგმება მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯების დაფინანსება.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან სხვა შეკითხვები არ ჰქონიათ და შესაბამისად ერთხმად დაუჭირეს მხარი ბიუჯეტში ცვლილების წინადადებას,რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯების დაფინანსების გაზრდას .კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 10 წევრი.მომხრე 10 ხმა,წინააღმდეგი-0 ხმა.

საბიუჯეტო ცვლილების ინიციატივის მიხედვით **მერია** ასევე,ითხოვს **საკრებულოს** მხარდაჭერას სათნოების სახლის სუბსიდიის ხარჯებში კვების ხარჯების **4 000** ლარის ოდენობით შევსების თაობაზე .

კომისიის თავმჯდომარემ **ვარლამ ჭიპაშვილმა** აიპის ხელმძღვანელს,**გიორგი ჩიჩილიძეს** შეკითხვებით მიმართა- რატომ სჭირდება სათნოების სახლს დამატებით 4000 ლარი სუბსიდიის სახით,მიმდინარე პერიოდში გაიზარდა თუ არა ბენეფიციარების რაოდენობა და გამრავალფეროვნდა თუ არა ბენეფიციარების კვების მენიუ?

სათნოების სახლის ხელმძღვანელის გიორგი ჩიჩილიძის განმარტებით ორგანიზაციას დამატებითი დაფინანსება ესაჭიროება,კერძოდ, **კვების ხარჯის** დასაფარად **2800 ლარი** და ელექტრო სისტემის შეკეთების საფასურის დასაფარად 1200 ლარი.(ჯამში 4000 ლარი)

გიორგი ჩიჩილიძის განმარტებით,**კვების** ხარჯის გაზარდის აუცილებლობა გამოიწვია საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდამ ,ხოლო ელექტრო სისტემა მწყობრიდან გამოვიდა და შეკეთება აუცილებელი გახდა.

სხდომაზე გიორგი ჩიჩილიძემ ცალსახად განაცხადა,რომ მიმდინარე წელს ორგანიზაციაში არ იგეგმება ხელფასების გაზრდა,არ იგეგმება თანამშრომელთა დამატება და მიმდინარე პერიოდში არ გაზრდილა ბენეფიციართა რაოდენობა.

კომისიის წევრმა დეპუტატმა ლენა აბაშიძემ განაცხადა,რომ აუცილებელია სათნოების სახლის მომსახურება სოფლებშიც შევიდეს ,რაც მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა იქნეს გათვალისწინებული.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ბიუჯეტში ცვლილების წინადადებას ,რომელიც ეხებოდა სათნოების სახლის 4000 ლარი ოდენობით დამატებით დაფინანსებას.**კენჭისყრაში** მონაწილეობდა **კომისიის 10 წევრი.მომხრე 10 ხმა** ,წინააღმდეგი-0 ხმა.

მომხსენებლებმა სხდომაზე განმარტეს, **რომ ა(ა)იპ** დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდირებისათვის **45 710** ლარი იგეგმება , **აქედან 20 710** ლარი იუსტიციის სახლის მშენებლობისათვის ძველი საკანალიზაციო სალექარების განმონტაჟებისა და ახალი სალექარების მოსაწყობად, **18000** ლარი საწვავ-საცხები მასალების შესაძენად და **7 000** ლარი გარე-განათების ხარჯის დასაფარად.

კომისიის წევრები გივი თავზარაშვილი და მალხაზ ფხალაძე მიესალმნენ იუსტიციის სახლის დაბა ხარაგაულში მშენებლობის პროექტის წინადადებას და აუცილებლად მიიჩნიეს იუსტიციის სახლის მშენებლობისათვის ძველი საკანალიზაციო სალექარების განმონტაჟებისა და ახალი სალექარების მოსაწყობის მიზნით ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მოთხოვნილი თანხის დამტკიცება.**აღნიშნული** პოზიცია გაიზიარეს **კომიიის** სხვა **წევრებმა.**

კომისიის წევრმა ოთარ ლურსმანაშვილმა :თუ როდის იგეგმება იუსტიციის სახლის მშენებლობა.

კომისიის სხდომაზე **მერიის** ეკონომიკისა **და ქონების სამსახურის** უფროსმა **ჯაბა ბერაძემ** განაცხადა,რომ დაბა ხარაგაულში იუსტიციის სახლის ინტენსიური მშენებლობა იგეგმება 2020 წელს,ხოლო წელს მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

კომისიის წევრმა მალხაზ ფხალაძემ იკითხა რატომ გახდა საჭირო გარე-განათების ხარჯის გაზრდა აუცილებელი.

კომისიის სხდომაზე მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა განაცხადეს,რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მოხდა ახალი ქსელის მშენებლობა,რაც წარმოშობს დამატებით ხარჯს ელ.ენერგიის საფასურის დასაფარად.

კომისიის წევრმა პავლე კიკალიშვილმა იკითხა აიპი საქმიანობას ეფექტურად გააგრძელებს თუ არა იმ შემთხვევაში რომ არ გაიზარდოს საწვავის ხარჯი 18000 ლარის ოდენობით.

მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა განაცხადეს,რომ ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზაცია დასუფთავების მომსახურებას აიპი უწევს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებელ ჩინურ კომპანიას და შესაბამისად გაიზარდა ტრანსპორტის ხარჯი და დასუფთავების გადასახადიდან მიღებული შემოსავალიც.

ვლადიმერ გელაშვილის თქმით, თუ საწვავის ხარჯი არ გაიზრდება ორგანიზაცია ნოემბრისა და დეკემბრის თვეში ვერ შეძლებს მუნიციპალიტეტში ხარისხიან და სრულყოფილ მომსახურებას.

დეპუტატი მარინე ხვედელიძე დაინტერესდა რის მიხედვითაა განსაზღვრული 18 000 ლარის სუბსიდია.

ვლადიმერ გელაშვილის თქმით,მოთხოვნა ემყარება დღეის მდგომარეობით გაწეულ ფაქტიურ ხარჯს და დამატებითი სუბსიდია დაფარავს ნოემრბრისა და დეკემბრის თვის საწვავის ხარჯს.

კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის აზრით,ის რომ აიპი „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის" სუბსიდიის გაზრდის წყაროდ მერია გეგმავს ჯარიმების გეგმის გაზრდას დეპუტატის თქმით არაა სწორი მიდგომა,რადგან ჯარიმები არაა სტაბილური შემოსავალი და შესაბამისად რისკის მატარებელია ამ მიმართულებიდან თანხების შემოდინების მოლოდინებზე ვალდებულებების აღება.

ვლადიმერ გელაშვილის განცხადებით,მერიამ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსავლების 9 თვის შედეგებზე დაყრდნობით იხელმძღვანელა და ჩათვალა რომ ჯარიმების გეგმის გაზრდა შესაძლებელია.

კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სუბსიდირების წინადადებას,რომელიც მერიის მიერ იქნა ინიცირებული.კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 10 წევრი. მომხრე 10,წინააღმდეგი-0.

კომისიის სხდომაზე დეპუტატებს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარმოუდგინა მოხსენებითი ბარათი,რომლითაც მან როგორც სამსახურის უფროსმა და მიწის აღიარების კომიიის თავმჯდომარემ მიმართა მუნიციპალიტეტს მერს.**ჯაბა ბერაძის** განმარტებით წარმოიშვა მერიის კუთვნილი ავტომანქანის შეკეთების

აუცილებლობა და შესაბამისი ხარჯის დაგეგმვა 10 000 ლარის ოდენით.**ჯაბა ბერაძის განმარტებით** მერიის კომისიები (მიწის აღიარების კომისია,სტიქიის კომისისია) ვალდებულია რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა განცხადებებზე,მათ უხდებათ მუნიციპალიტეტის სოფლებში გადაადგილება,მუდმივ რეჟიმში ესაჭიროებათ ტრასპორტი,რომელიც ამჟამად მუშა მდგომარეობაში არაა.

კომიიის წევრმა გივი თხელიძემ იკითხა რა აქვს დაზიანებული ავტომანქანას ,რომლის შეკეთებაც მერიის მოთხონისამებრ ჯდება 10 000 ლარი.

ჯაბა ბერაძის განცხადებით,პიკაპის ტიპის ავტომანქანას,რომელიც იმყოფებოდა მერიის მიერ შექმნილი კომისიების განკარგულებაში დაზიანებული აქვს ძრავი და ახალი ძრავის შესაძენად საჭიროა 10 000 ლარი.

ჯაბა ბერაძემ სხდომაზე ასევე განაცხადა,რომ ავტომანქანა რომლის შეკეთებაც იგეგმება მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა თავის დროზე და მუნციიპალიტეტს ხარჯი არ გაუწევია.

დეპუტატმა მარინე ხვედელიძემ ჯაბა ბერაძეს ჰკითხა ამჟამად ჰქონდა თუ არა მერიას სხვა რესურსი რომ კომისიებმა სამსახურებრივი მოვალეობა განახორციელონ თუ დასახელებული ავტომანქანა არ შეკეთდება.

ჯაბა ბერაძემ კომისიის სხდომაზე განაცხადა,რომ მერიას კომისიებისათვის სხვა სატრანპორტო საშუალება არ გააჩნია თავისუფალი .**ჯაბა ბერაძემ** აქვე განაცხადა,რომ მერია უახლოს ხანში გეგმავს საკუთრებაში მყოფი დაზიანებული იმ ავტომანქანების პრივატიზებას,რომლებიც შეკეთებას აღარ ექვემდებარებიან,რაც მისივე განცხადებით დაახლოებით 3500 ლარის ოდენობით ფინანსურ შემოსავალს გააჩენს ბიუჯეტში.

დეპუტატებმა გივი თხელიძემ და **ვარლამ ჭიპაშვილმა** ისაუბრეს,რომ მერიის ავტომანქანებზე უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული და ყველა თანმშრომელს არ უნდა გააჩნდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ ავტომანქანების მართვის უფლება. **გივი თხელიძის** თქმით ავტომანქანას მოვლა-პატრონობა ესაჭიროება და თუ ტექნიკაზე ერთი პასუხიმგებელი პირი არ განისაზღვრება კვლავ დიდი იქნება დაზიანების რისკი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე დეპუტატებმა ,რომლებიც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები არიან ერთხმად დაუჭირეს მხარი საბიუჯეტო ცვლილების პროექტის იმ ნაწილს,რომლის მიხედვითაც იგეგმება 10 000 ლარის გამოყოფა მუნიციპალიტეტის მერიის სარგებლობასა და საკუთრებაში არსებული ავტომანქანის შესაკეთებლად.**კენჭისყრაში მონაწილობდა 10 წევრი.მომხრე 10,წინააღმდეგი-0.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ საბოლოოდ ,**საბიუჯეტო** ცვლილების **პროექტს** ერთიანად უყარა **კენჭი.** კომისიამ ერთხმად ჩათვალა საკითხის კომისიურ ფორმატში განხილვა ამოწურულად და მიზანშეწონილად მიიჩნია განხილული პროექტის საკრებულოს

სხდომაზე გატანა.საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი საბიუჯეტო ცვლილების ერთიან პროექტს. კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 წევრი.მომხრე 10,წინააღმდეგი-0.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე /ვარლამ ჭიპაშვილი/

მდივანი /ლენა აბაშიძე/

სხდომაზე დამსწრე - წევრები:

/იუზა კელენჯერიძე/

/დავით კიკნაძე/

/ოთარ ლურსმანაშვილი/

/აკაკი ლურსმანაშვილი/

/პავლე კიკალიშვილი/

/გივი თხელიძე/

/მალხაზ ფხალაძე/

/ მარინე ხვედელიძე/

/გივი თავზარაშვილი/

/ნონა ზურაბიანი/